# სახალხო გაზეთი

№ 361 სამშაბათი, 26 ივლისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 361

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ რომ ყოველ თვის ამდეგიდან გაზეთის გზავნა ესპობათ ყველას ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი.

## დ. ყვირილაში

„სორაპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე", აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

## „სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

კვირას, 24 ივლისს, ნაშუადღევის 1 საათზე, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ სოფელ ახალქალაქში გარდაიცვალა

გენერალ-მაიორი თავ.

## გიორგი იორამის ძე თარხან-მოურავი

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი, დები, შვილები, რძალი, სიძეები და შვილისშვილები. პანაშვიდი ყოველ-დღე, დილის 11 საათზე და საღამოს 7 საათზე. გამოსვენება მიცვალებულის გვამისა მოხდება საკუთარ სახლიდან სოფელ ახალქალაქში, დილის 9 საათზე, 28 ივლისს, ერთაწმინდის ტაძარში, სადაც გადახდილ იქნება წირვა. დაკრძალვა იქვე. (2—738—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ მიმდინარე ივლისის 27-ს, ნაშუადღევის პირველ საათზე, ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩა), ქართველ თავად-აზნაურობის სახლში დანიშნულია პანაშვიდი ამ ბანკის გამგეობის წევრად ნამყოფ განსვენებულ

## თ-დ გიორგი იორამის ძის თარხან-მოურავოვის

სულის მოსახსენებლად. (1—1409—1)

ქ. პიატიგორსკში, 24 ამა ივლისს გარდაიცვალა

## კნ. მარიამ სევერიანის ასული თუმანიშვილისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქმარი თ-დი ლევან ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი და შვილები: ფერდინანდი, მადლენა, ნინო, ანდრია, ავნესა და დავით. პანაშვიდი გადახდილ იქნება განსვენებულის დაკრძალვის დღეს, 26 ივლისს, დილის 9 ნახ. საათზე, ტფილისის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში. (1—740—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით,

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეც. ამბულატორიო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ბიძინაშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღრაძიშვილი გ. გ., შინ., სამშ. და ქ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., დროებით წასულია.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირაძოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულხანოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. დროებით წასულია.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. დროებით წასულია.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც., კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შემდგავათ, სადეზინფ. (წ.—1089—620)

კნეინა ოლღა ივანეს ასული ფალავანდიშვილისა მადლობას უხდის ყველა მათ, ვინც პატივი სცა და დაესწრო მის საყვარელ ქმრის

## ილია ფალავანდიშვილის

დაკრძალვას და აგრეთვე ან წერილით, ან დეპეშით სამძიმარი გამოუგზავნა. (1—1410—1)

## შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა

ქარხნისა

ტფილისის განყოფილება

იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355.

საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა უდიდეს ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—40)

მეუღლე თამარა, მშობლები თაყა და მარიამ გერსამიები, ძმები: ნოშრევან, პავლე, იასონ, კლიმენტი, ერმილე და დები მარიამ და ანეტა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას ძვირფასი

## გიორგი გერსამიასი

გამოსვენება ხუთშაბათს, 28 ივლისს, დილის 9 საათზე საკუთარი სახლიდან მალაკნის ქუჩა № 26 ქვაშვეთის ეკლესიაში წირვა და პანაშვიდის შემდეგ დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში. (3—741—1)

ტელეფ. 795. **ახალი კლუბი** ტელეფ. 795.

(თ. აზნაურობის საზაფხულო ბაღი და თეატრი).

სამშაბათს, 26 ივლისს, 1911 წ.

## ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

ქართულ თეატრის საზაფხულო სცენაზე წარმოდგენილი იქნება ქართულად:

I. რაც არ მერგება, არ შემერგება. კომ. 1 მოქმ. გ. გუნიასი.

II. მუსიკალური დივერტისმენტი. მონაწილენი: ქ-ნი კალიუჟნაია-დე-ოლიკა, ბ.ბ. ბუტი, ცხომელიძე და სხვ.

დასაწყისი საღ. 9 საათზე. ადგილების ფასი თეატრში 10—50 კ. სტუმრები გადაიხდიან: კაც. 1 მ., ქალ. 50 კ., სტუდ. 25 კ. ბაღში უკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი. წარმოდგენის შემდეგ ლოტო. (2—1304—2)

ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება და ცალკე წიგნად გამოვა

## გ. ახოსპირელის

დრამატიული პოემა

## შვენება და სიყვარული

გამოცემა მიხაკო ლალიძისა. (10—1403—3).

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვ-ზიზაროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—74)

ქუთაისში

## ექიმი მ. ი. ჩხენკელი

შინაგან, საბავშვო და საპებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგ. როსელიანის სახლი. (თ.—1321—36)

აბასთუმანში

კბილის ექიმი

## ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერ-მარქაროვისა. (თ.—1333—34)

ნაფიცი ვექილი

## გ. ზ. ჩარიგაია

დაბინავდა ნოვო-ბებუთოვის ქუჩაზე, № 3. (6—726—4)

დოქტორი მედიცინისა

## ი. გ. ჩუდნოვსკი

კიროჩნის ქ., სახ. № 18.

ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ. იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ—ყოველ დღე დილას 9—11 ს., საღამოს 5—8 ს. (10—1336—9)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ს. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. ვ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

## წამლობა „606"-ით.

(წ.—1090—118)

## ექიმი ვ. არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულება, დილის 8—11 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე., კვირაობით დილის 9—12 ს.-მდე. ალექსანდრეს ქ. № 3. (თ.—1389—9)

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა.

სურამში

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. —106

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—69)

## ექიმი ვ. მუსხელიშვილი

სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარეთ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

დიდი ხანია სწავლულებმა ყურადღება მიაქციეს იმ სამწუხარო მოვლენას, რომ რამდენადაც განათლება, კულტურა ვითარდება, რამდენადაც საერთოდ ცოდნის ფარგალი ფართოვდება, იმდენადვე შეუძლებელი ხდება ადამიანმა შეითვისოს მესამედი მაინც იმ ცოდნისა, რომელიც ჩვენ დრომდე შემუშავებულა. ადამიანი იძულებულია ერთი პაწაწა მხარე აირჩიოს ამ დიადი ცოდნისა და მხოლოდ ამის შესწავლით დაკმაყოფილდეს, მას შეალიოს მთელი თავისი სიცოცხლე. სპეციალისტობა, მხოლოდ ვიწრო სპეციალისტობა, შეიქნა შესაძლებელი აწინდელ მეცნიერისათვისაც კი. ახლა შეუძლებელია არისტოტელობა, რომელიც თითქმის მეცნიერების ყველა დარგში გვხვდებათ. რადგანაც ყოველივე თითოეული დარგი ისე გაიზარდა, რომ მის შეთვისებასაც ხეირიანად ვერ ასწრებს ადამიანი. ეს მოვლენა, როგორც ვიცით, პიროვნების, სრული ინდივიდის დამაწვრილმანებელია, დამაბრკოლებელია. ამ საკითხს ეხება „უტრო როსიი"-ის 167 №-ში პროფ. ა. პოგოდინი. იგი სწერს ვილნოში, როსტოვში და ტფილისში უმაღლეს სასწავლებლების საჭიროებაზე და ამბობს:

…„ჩემის აზრით, ჩვენ იდეალიდან ძლიერ შორს ვიქნებით, თუ ახალი უნივერსიტეტებიც ძველებურის ტიპისა იქნება. ძველი უნივერსიტეტები მაშინ გაჩნდა, როდესაც სახელმწიფოს პრაქტიკულ მოსაზრებით ცდილობდა სხვადასხვა სპეციალისტები ჰყოლოდა: მასწავლებლები, მოხელენი, ექიმები და სხვა.

უმაღლეს განათლების იდეა მსხვერპლად ეწირებოდა დიპლომს, რომლის ძალითაც ყოველი უვიცი სპეციალისტი ადგილს შოულობდა და ამ სპეციალობის გარეშე სულ არა გაეგებოდა-რა. გუშინდელი გიმნაზიელი დღეს „სპეციალისტი" ხდებოდა გერმანულ-რომანულ (ან კიდევ ვიწროდ, მხოლოდ გერმანულ ან რომანულ) ფილოლოგიისა, ფილოსოფიისა, ბუნების მეტყველების ამა თუ იმ დარგისა; ამ „ბუნების-მეტყველს" წარმოდგენაც არა ჰქონდა შექსპირისა, არც იურიდიულ ცოდნისა, არც პოლიტიკურ ეკონომიისა. ფილოლოგს არ შეეძლო ღვიძლი ფილტვებისაგან გაერჩია… ასეთი ნაკლი ბევრს პროფესორსაც ახლდა… ფსიხო-ნევროლოგიური ან ლესგაფტის კურსების იდეა სწორია: იმათ ჰსურთ უმაღლესი განათლება და საზოგადო განვითარება მიაღებინონ ახალგაზრდობას. რუსეთს სპეციალისტებზე ნაკლებ არც განათლებული ადამიანები ესაჭიროება. ყველა დარგში: თვითმართველობაში, პოლიტიკურ ცხოვრებაში, მწერლობაში, მეცნიერებაში ცხადათა სჩანს საერთო განათლების უქონლობა. ამ მოსაზრებას უნდა მიექცეს ყურადღება ახალ უნივერსიტეტების გახსნის დროს".

მაგრამ პროფ. პოგოდინი სინამდვილის უკულმართობას არ ივიწყებს. ეს მოსაზრებანი მას მხოლოდ შორეულ მომავლისათვის აქვს წარმოთქმული. რასაკვირველია, უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა შემოიკრიბოს საზოგადოების სალი ელემენტები და ემსახუროს იმ კუთხის საჭიროებათ, სადაც იგი დაარსდება, მაგრამ სწორედ ეს უშლის ხელს ამ სასწავლებელთა დაარსებას. ამას, რა თქმა უნდა, იქ ვერ შეიწყნარებენ, სადაც საზოგადოების თაოსნობის უარს და ეროვნულ საჭიროებაზე ხმის ამოღებას რევოლუციის საქციელითა ჰნათლავენო.

…„ჩვენი ცხოვრების გასაოცარ პირობებში უმაღლეს სასწავლებელთა სწორედ ეს დადებითი მხარეა მათ დაარსების შემაფერხებელი მიზეზი და იგი აქარწყლებს უნივერსიტეტების და რსების ყოველს იმედს".

## ახალი ამბავი

ტფილისი

✦ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ დაადასტურა, რომ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებაში გადაიცეს 4000 თუმანი, ჭირთან საბრძოლველ ზომების მისაღებად და დროებით მოწვეულ ექიმთა შესანახად.

✦ ტფილისის გუბერნატორს გორის ალაფებმა სთხოვეს, ნება მოგვეცით დილის ექვსი საათიდან ცხრამდე ვივაჭროთო. მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების მიხედვით ეხლა დილის 8 საათიდან მხოლოდ 6-მდე შეგვიძლიან ვაჭრობა და ეს კი საზარალოა ჩვენთვისაო.

✦ ტფილისის პოლიციის დახმარებით, ქალაქს წარსულ კვირაში შემოსვლია: შეფასების დარჩენილი გადასახადი 20,036 მან. 41 კაპ.; დარჩენილა გადაუხდელი შესაფასებელი 4596 მან. 17 კაპ, და ცხენის გადასახადი—286 მან, 87 კაპ.

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა სოფ. ბეჟათუბანში (დუშეთის მაზრა) საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილების გახსნის დასაჩქარებლად გუბერნატორსა სთხოვა,-განკარგულება მოახდინოს, რათა განყოფილების გახსნაში დაინტერესებულ პირთ რაც შეიძლება მალე შეიტანონ ხაზინაში საჭირო 500 მანეთი (350 მან. კანტორის პირველ დაწყებით მოწყობისათვის და 150 მან. სამი თვის კანცელიარიის ხარჯი), გარდა ამისა გეგმის წარდგენაც დააჩქარონ, რომლის მიხედვითაც აშენდება ზემოდ აღნიშნულ კანტორის შენობა.

✦ საქართველოს ეგზარხოსმა ტფილისის გუბერნატორს აცნობა: მას საწინააღმდეგო არა აქვს რა, რომ მე-8 უბანში მცხოვრები ქსენია ნესტორის ასულმა დაცენკომ სომეხ გრიგორიანთა სარწმუნოება მიიღოს, რადგანაც მოძღვრის შთაგონების მიუხედავად იგი მაინც თავისას თხოულობს.

✦ ალექსანდრეს სახელობის კანისა და ვენერიულ ავადმყოფობის სავადმყოფოში წარსულ თვის განმავლობაში 92 ავადმყოფი ჩაწერილა, მათგან ყოფილა: 10—ვაჭარი, 19. მეძავი—ქალი, 15 მუშა, 1 შინაური როსკიპი, 1 მეჭვაბე, 1 პოლიციელი, 1 მეეზოვე, 1 მკერავი ქალი, 1 მეფურნე, 1 მებაღე, 1 ფოს-

ტალიონი, 4 მოწაფე, 1 მეთორნე, 1 ოქრომჭედელი, 1 მოახლე ქალი, 3 ნოქარი, 1 ხელოსანი ქალი, 4 ხარაზი, 1 მრეცხავი ქალი, 3 ბავშვი, 2 პატარა ქალი, 1 კანტორის გამგე, 2 თერძი, 1 მებუფეტე ქალი, 2 მეეტლე, 1 მეურმე, 1 მზარეული, 1 ციხის ზედამხედველი, 1 მიწის მუშა, 1 ბუხჰალტერი, 1 დამტარებელი, 1 ლაქია, 1 მათხოვარი, 1 საფრობო დარაჯი.

✦ ქალაქის გამგეობასთან არსებულ სამკურნალო-სასანიტარო ბიუროს ცნობებით ათი დღის განმავლობაში, 11-დან 21 ივლისამდე, **არამიანცის საავადმყოფოში** ავადმყოფი იყო: 11-სათვის იყო 112 ავადმყოფი, ჩაეწერა—56, კარგად გახდა და გაეწერა—58, დარჩა—110. ქალაქის ბარაკებში ათი დღის განმავლობაში ჩაეწერა: ყელჭირვებით—3, ხუნაგით—3, ყვავილით—1 და ავი სენით—1.

### სასამართლო

✦ სენატმა დაამტკიცა ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენი, რომლითაც **მიხეილ კაციას ძე ქლენტს** ექვსი წლის კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი.

### რკინის გზაზე

✦ **გზათა სამინისტრომ** განკარგულება მოახდინა, რომ რკინის გზის მოსამსახურეებმა უფროსებს სალამი სამხედრო წესით მისცენ ხოლმე.

✦ **სად. ტფილისი.** 24 ივლისს, შუადღის 12 საათზე, მოვარჯიშე მატარებლის ქვეშ გაუფრთხილებლობის გამო მოჰყვა დეპოს ოსტატის ალექსანდრე რეზნიკოვის ათი წლის ქალი კლავდია. ორთქლმავალმა მას ორივე ფეხი მოსწყვიტა.

✦ **სად. ბაქო.** 24 ივლისს მავარჯიშე მატარებლის გავლის შემდეგ ვაგონებ ქვეშ იპოვეს უცნობის გასრესილი გვამი, რომელიც საავადმყოფოს სამლოცველოში წაიღეს.

✦ **სად. ქუთაისი.** ახალ შენობაზე მუშაობის დროს იაკობ ავერკინს თავში ფიცარი დაეცა და დაშავდა.

✦ **სად. წაგოლუბი.** აქ მომხდარ უბედურობის გამო შემდეგი დამატებითი ცნობები მივიღეთ. მატარებელს ოთხი კამეჩი გაუსრესია. დაღუპულთაგან: ერთი ტფილისის დეპოს მემანქანის თანაშემწე აზნაური გიორგი გერსამია და მეორე—მეისრე ტრიფონ ტაბატაძე ყოფილა.

✦ **სად. ბგარა.** 22 ივლისს, საფოსტო მატარებლის (№ 4) მეორე კლასის ვაგონიდან გადმოვარდნილა მგზავრი გრიგოლ ამირვაძე, რომელიც თავში დაშავებულა.

### ქ უ თ ა ი ს ი.

✦ განსვენებულ **ფილიმონ ქორიძის** სამუსიკო ნაწარმოებთა გამოცემა განუზრახავთ. საჭირო თანხისათვის გაზ. „კოლხიდა“ შემოწირულებას ღებულობს.

(„კოლ.“)

✦ აქ უკვე შეიმუშავეს მომხმარებელ საზოგადოების წესდება დადასამტკიცებლად გუბერნატორს წარუდგინეს. საზოგადოებას სახელად **„პროგრესი“** ერქმევა.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა, ბ. სლავოჩინსკიმ, დაამტკიცა აბაშის მომხმარებელი საზოგადოება—**„ანგარიშის“** წესდება. საზოგადოება მოქმედებას ახლო მომავალში დაიწყებს.

✦ ქუთაისის ზოგიერთ ვაჭრებს განზრახვა აქვთ **სააქციონერო ამხანაგობა** დაარსონ, რომელიც საფრთლო მაღაზიის გახსნით დაიწყებს მოქმედებას.

✦ ქუთაისის ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობაში თანდათან იზრდება „მიბარებულ“ თანხის რაოდენობა, რაც თავდებია იმის, რომ ეს დაწესებულება მალე დიდ მნიშვნელობას მიიღებს ადგილ იბრივ ხელოსანთა ცხოვრებაში.

✦ **ნოე ჟორდანიას** ცალკე წიგნად უნდა გამოსცეს იტალიაში კოოპერაციის შესახებ შეგროვილი მასალები. წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოსაც. სასურველია, რომ ამ ფრიად საინტერესო მასალების გამომცემელი მალე გამოჩნდებოდეს. იტალია ჩვენთვის დიდად საყურადღებოა, რადგანაც იქ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციებს საუკეთესო ფორმები აქვს მიღებული; და ჩვენში კი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას უკეთესი ნიადაგი აქვს, ვიდრე საქალაქოს. („კოოპერ.“)

### ბათუმი

✦ ქალაქის მოურავის მომავალ არჩევნებისათვის თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის გარდა, ხმოსანთა ერთი ჯგუფი შემდეგ კანდიდატებს ასახელებს: ქალაქ სოხუმის მოურავად ნამყოფ გრაფ სოლოგუბს, ინჟენერ ბახმეტიევს და გენერალ-ლეიტენანტ თ. ბარიატინსკის.

✦ ქალ. გამგეობამ წინადადება მისცა ქალ. არხიტექტორს ი. დ. კროპივიანსკის, რათა მან გამგეობას კიოსკის გეგმა წარუდგინოს, სადაც შეიძლებოდეს გაზეთებისა და საგრილებელ სასმელების გაყიდვა.

✦ წელს პირველად **ბათუმის სამეურნეო საზოგადოებამ** მიწათმოქმედე სამინისტროდან მიიღო შემდეგი დახმარება: 1) მუდმივი ყოველწლიური საზოგადოების მოქმედების საერთო განვითარებისათვის 3,000 მანეთი, 2) სუბტროპიკული მცენარეების გაშენების მცოდნე ინსტრუქტორისათვის მუდმივი წელიწადში 1800 მან. 3) სამეურნეო საწყობის დაარსებისა და განვითარებისათვის ერთდროულად — 1000 მან. 4) 1912 წელს პეტერბურგში ბათუმის რაიონის სამეურნეო ნაწარმოების გამოფენის მოსაწყობისათვის ერთდროულად—1400 მან. 5) საზოგადოება აგრეთვე ელის სამინისტროდან დახმარებას ლიმონისა, ფორთოხლისა, მანდარინისა, ნარინჯისა, ჩაის და ბამბუკის სანერგეს მოსაწყობად.

✦ კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით **სოფ. სამხთოში, სადაც ნავთის ნამდვილი ნიშნები აღმოჩნდა**, შეჩერებულია ნავთის ძებნა იმ დრომდე, სანამ კავკასიის სამთო გამგეობა არ მოახდენს სათანადო განკარგულებას.

✦ ვ. კაპლანას ზავოდში კეთდება მიწის **სათხრელი ბურღი**, სიგრძით 60 საჟენი, რომლის გაკეთება შეუკვეთია ბ. რილსკის. ეს ბურღი ბ. რილსკის გურიაში ს. სამხთოში სანავთო ადგილების გასასინჯად მიაქვს.

✦ როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ამ დღეებში ჩამოვლენ ბათუმში **„ზიმენს და კომპ.“ ფირმის წარმომადგენელნი**, რომელთაც აქვთ გურიაში აღებული ნავთიანი ადგილები. როგორც გავიგეთ ფირმა საქმეს სერიოზულად ჰკიდებს ხელსა.

✦ როგორც გავიგეთ, შემდგარა **წრე ზოგიერთ ქართველებისა**, რომელსაც განუზრახავს გურიაში სანავთე ადგილების იჯარით აღება. („ბათ. მოამბე.“).

### ბ ა ქ ო

✦ დეპეშათა სააგენტო იტყობინება: რომანახის ნავთის წყაროებზე ნავთის 6 შადრევანი იწვისო.

### ს ო ხ უ მ ი

✦ შესდგა **მომხმარებელი საზოგადოება**, რომელმაც წესდება უკვე შეიმუშავა და დასამტკიცებლად გუბერნატორს წარუდგინა. საზოგადოებას სახელად **„ხოლიდარობა“** ერქმევა.

აქ ამ მოკლე ხანში გამოვიდა რუსული გაზეთი „სოხუმის ცნობანი“.

### ა ხ ა ლ ც ი ხ ე

✦ **ქალაქის რწმუნებულთა კრებამ**, რომელიც 22 ივლისს შესდგა, მოისმინა ქალაქის მოურავის მოხსენება და ერთხმად დაადგინა: ხოლერასთან საბრძოლველად ზომების მისაღებად 4 მილიონიან კრედიტიდან ქალაქმა ითხოვოს 3500 მანეთი დახმარება, იმ პირობით, რომ თუ ეს თანხა საჭირო თანხის ნახევარს არ შეადგენს, გადარჩენილი ისევ ხაზინას დაუბრუნდეს.

### პ რ ო ვ ი ნ ც ი ა

✦ **სოფ. ზინდისი** (გორის მაზრა). 24 მკათათვეს ღამით მჭადიჯვარის მამასახლისის სახლს ყაჩაღები დაეცნენ, მამასახლისი ვოგია ზაქარიას ძე აბაშვილთან ერთად ჩაისა სვამდნენ. იმასი მამა ზაქარია, ჩუბინიშვილი თვაური და გლეხი ვასაშვილი; უეცრად ექვსი შეიარაღებული ყაჩაღი შეუცვივდა თოფები დაახალეს და ხანჯლებით დასჩეხეს. შემდეგ გაძარცვეს სახლი და მიიმალნენ; მოკლულია მამასახლისი აბაშვილი, მისი მამა, ჩუბინიშვილი და თვაური, ვასაშვილი მძიმედაა დაჭრილი. იგი მიხეილის საავადმყოფოში ჩამოიყვანეს. ბოროტმოქმედების ადგილს მაზრის უფროსი და ბოქაულები გაემგზავრნენ. ყაჩაღთა შესაპყრობლად სასტიკი ზომებია მიღებული.

## ქუთაისის ამ-ბარში

გამრავლდა ქუთაისში სინემატოგრაფი—სამი უკვე მოქმედობს და მეოთხე მზადდება. ხალხს სინემატოგრაფების პატრონი ვერ დაიმდურება—იშვიათად ნახავთ, რომ ცარიელი იყოს ეს გასართობი და ვფიქრობთ, რომ წაგებაში არავინ უნდა იყოს; მაგრამ კაცის გაუმაძღრობა ხომ მოგეხსენებათ და ის, რასაც ევროპიელები კონკურენციას ეძახიან. მოქიშპობამ რა არ აგონა კონკურენტებს და ბოლოს ერთმა სინემატოგრაფმა 10 მოჭიდავე ქალი გამოსჭიმა თავის სცენაზე; მეორემ დიდი ხანი არ დააგვიანა და 13 ქალი მოიყვანა და შეიქნა გახურებული ჭიდაობა, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვს—არენა, სადაც სპორტი ჰქდება, იმოდენაა, რომ ორი ქალი ძლივს მოთავსდება და რა გასაკვირველია, რომ ჭიდაობის დროს ხან ერთი ფალავანი გადმოვარდება პარტერში, ხან—მეორე. ეს გარემოება სრულებითაც არ აწუხებს ქუთათუთურებს—მრავალი ხალხი იკრიბება საღამ-საღამოობით სინემატოგრაფებთან და ხშირად ბევრი ადგილსაც ვერა შოულობს. ჭიდაობის მესვეურებსაც ეს უნდოდათ. ნუ თუ სხვა გასართობი არსად იყო, რომ ჭიდაობას, ისიც დამახინჯებულს, მისცეს გზა ფართო? აი, მესმის სინემატოგრაფებს, რომ თავისი რეპერტუარი გაუმჯობესებინა და ხშირად უაზრო სანახავების მაგივრად, აზრიანი პიესები შეეტანა პროგრამებში, თორემ ჭიდაობა არც სულს აძლევს რამეს, არც გულს.

***

ონისიმე სვანიძე ახირებულ ვარსკვლავზეა დაბადებული; მაშ, რას უნდა მიაწეროს კაცმა, რომ გაზეთებმა და საზოგადოებაში ხშირად ლაპარაკობენ მაზე. აი ეხლაც, ბ-ნ სვანიძეზე ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ. შარშან მან თავი დაანება ბანკში სამსახურს 2 თუ სამი თვით და იმის გამო სრული პენსია, 2000 მანეთი, დაენიშნა. პენსია, როგორც ხედავთ, ურიგო არ არის, მაგრამ საქმე ის არის, რომ იგი კვლავ მიიწვიეს ბანკის ბუხჰალტრად და ამ თანამდებობის მიკუთვნებულ ჯამაგირის გარდა, სრული პენსიაც მოითხოვა. საპენსიო კასის კომიტეტმა უარი უთხრა. საქმე განსახილველად ბანკის გამგეობას გადაეცა. მისი თხოვნა დადასტურდა, მაგრამ საპენსიო კასის კომიტეტის თავმჯდომარის თხოვნით, ზედამხედველმა კომიტეტმა პენსიის გაცემა შეაჩერა, ვიდრე რწმუნებულთა კრება განიხილავდა ამ საკითხს. რწმუნებულნი არ დაეთანხმენ ბანკის გამგეობას და სრული პენსიის გაცემა შეუძლებლად ჩასთვალეს. სხვა რომ ყოფილიყო ბ-ნი სვანიძის ადგილას, ასეთ კატეგორიული გადაწყვეტილების შემდეგ იქნება დაჰმორჩილებოდა ბედს, მაგრამ ბ-ნი ონისიმე სვანიძე სხვა ჯურის კაცია—მან სასამართლოს მიჰმართა, სადაც ეს საქმე ამ თვის ოცში გაარჩიეს და სასამართლომ მიუსაჯა მას ფული. ეჭვი არ არის, იგი აღმასრულებელის ფურცლით მიადგება მის ამხანაგთა მიერ არჩეულ კომიტეტს და ფულს მოსთხოვს. და კიდევაც მიიღებს, მაგრამ კანონი რომ ყველასათვის სავალდებულოა და რატომ არ ინებებს ბ-ნი სვანიძე ზოგიერთ ვალის გადახდას იმ დაწესებულებისას, რომელმაც საპენსიო კასა დააარსა!!

***

მხოლოდ ქალაქის გამგეობა მეცადინეობს, რომ შავი-ზღვის რკინის გზამ ქუთაისს გვერდით არ უაროს. სხვები სდუმან, ხმას არ იღებენ; სოფელი, უმაღლესი წოდება, თვით ქუთათური მეშჩანები, რომლებიც, ვფიქრობთ, სხვაზე ნაკლებათ არ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი ამ გზით, თითქოს სასეიროთ არიანო გამომდგარი, ისე ეკიდებიან ამ საჭირობოროტო საკითხს.

სოფელს რა-ღა მოეთხოვება ამისთანა შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ მცოდნე ხალხი სოფელს ნაკლებად ჰყავს, იგი დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში იმდენად შებორკილია, რომ ღვთის წყალობის ოქმსაც ერიდება.

# უახლოეთის ცხოვრება

4.

**სპარსეთი.** თანამდებობათა იჯარით გაცემა.—სარდარ-ასადი.—შაჰის პიროვნება. შინაგან საქმეთა მინისტრი.—ფინანსთა მინისტრი.—განათლების მინისტრი.—**მაჰმედ-ალი.**—მუზაფერ-ედ-დინი (მაჰმედის მამა).—დედა მაჰმედისა უძ-ულ-ხაგანი — მაჰმედ-ალის ბავშვობა.—მისი ცოლი მელიქეი-ჯიგანი.—მაჰმედ-ალის ნამესტნიკობა ადერბეიჯანში.—მაჰმედ-ალი შაჰობა და ინტრიგები კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ.—რევოლუციის გამარჯვება.—ხალხის უნდობლობა მაჰმედ-ალისადმი.

—

ვის მოუვიდოდა ფიქრად, რომ გაძევებული შაჰი სპარსეთს დაბრუნდებოდა და თავის გამძევებელ ქვეყანას ერთ აურ-ზაურს მოუტეხავდა? მერე ისიც როგორ აურ-ზაურს?! ლამის არის ტახტი უკან დაიბრუნოს! ამის მოლოდინი ძნელი იყო. მაჰმედ-ალი გაძევების შემდეგ ადესაში სცხოვრობდა და ისე იქცეოდა, რომ ყველა დარწმუნებული იყო, სირცხვილი მოინელა, წარსულზე აღარა ჰფიქრობსო. ჯერ ისევ ამ შემოდგომაზე არ იყო, რომ „ჩრავალ“ ცოლის პატრონი ნაშაჰარი ერთი ბალერინის სილამაზემ გაიტაცა, ბალერინას უკან დაედევნა და ევროპას გაჰყვა? მაგრამ გული შიგნიდან არისო, ნათქვამია. მაჰმედ-ალის საქმეც ასეა. მისი ინდიფერენტული ცხოვრება თურმე სხვა რამეს ჰმალავდა და ეს სხვა რამე ეხლა გამოჩნდა! რა იმედი ჰქონია, ან ეხლა რის იმედი აქვს? რასაკვირველია უიმედნეულად არ მოეკიდებოდა საქმეს. კარგად ვხედავთ, თუ რაც ძალა ჰქონია მას სპარსეთში. მაგრამ ამ ამბის შეფასებას ჩვენ აქ არ შევუდგებით. ამის შესახებ ბევრი რამ დაწერილა ჩვენს გაზეთში. ამის გარდა საქმე ისეა აწეწილი, ისეთი ძნელი გამოსაცნობია მომავალი, რომ წინასწარმეტყველობა შეუძლებელია. შეიძლება მაჰმედ-ალიმ მიზანს მიაღწიოს და ტახტი დაიბრუნოს, ამისი ბევრი რამაა თავდები, მაგრამ ისიც ადვილად შესაძლებელია, რომ თეირანის მოედანზე სახრჩობელა ეღირსოს, ამის თავდებია ნაკლებად. ამიტომ სპარსეთის საქმეებისას არას ვიტყვით. მკითხველისათვის უფრო საყურადღებო იქნება თვით მაჰმედ-ალის ცხოვრების გაცნობა.

ჩვენც ამას მოვუთხრობთ მკითხველს. *)

სპარსეთს, კონსტიტუციის დამყარებამდე, ბიუროკრატია არა ჰყოლია. მოხელე-ჩინოვნიკებს მთავრობა არა ჰნიშნავდა. ყოველი თანამდებობა იჯარით იცემოდა. მაგ. გუბერნატორობა, გენერალ გუბერნატორობა, მინისტრობა და სხვა, ამგვარ თანამდებობის მიღება სარდარაზმის (დიდ ვეზირის) შემწეობით შეიძლებოდა. ეს ასე ხდებოდა: ვსთქვათ, განთავისუფლდა რომელიმე მინისტრის ადგილი. მაშინვე გაჩნდებოდა აურაცხელი კანდიდატი. ყველა დიდ ვერს მიადგებოდა ხოლმე, ფულს შეაძლევდა. კანდიდატები ჩუმად უმატებდნენ ფულსა, ბოლოს თანამდებობა იმას დარჩებოდა, ვინც ყველაზე მეტ სასყიდელს გაიღებდა. ამ რიგად თანამდებობა იყიდებოდა, მაგრამ ვადით კი. თანამდებობაზე ახლად დანიშნული ჩინოვნიკთა შტატს გაიჩენდა, ამნაირი სესხით, ე. ი. ვინც მეტ ფულს მისცემდა, მოხელედ იგი დაინიშნებოდა. როცა თანამდებობის ვადა გავიდოდა, მინისტრი ან უნდა გადამდგარიყო თანამდებობიდან, ან არა და ხელახლა გაეღო ფული. თუ მოახერხებდა ფულის მიცემას, ხომ თავის თავის ადგილზე დარჩებოდა, თუ არა და მთელი თავის შტატით უნდა გადამდგარიყო და ახალ თანამდებობის ყიდვას უნდა შესდგომოდა. მისი შტატიც ამასვე უცდიდა. თანამდებობის სყიდვაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მოყვრობას. მდიდარ ან გავლენიან კაცის ქალიშვილის შერთვა თანამდებობის შეძენას ხელს უწყობდა. თვით დიდი ვეზირი (სარდარაზმი) შაჰისაგან ჰყიდულობდა თავის თანამდებობას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შაჰს დიდი ვეზირის გადაყენება ან დაჯარიმება მუდამ შეეძლო. შიიტთა*) შარიატის თანახმად, შაჰი უზურპატორია და მჩაგრავი. მას ღვთაებრივი ჩამომავლობა არა აქვს. ასეთია შიიტების დოგმატი, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება სხვა ერთა დოგმატს, რომლის ძალითაც მეფე, იმპერატორი, ხელმწიფე და სხვა ამისთანები, ღვთაებრივ ჩამომავლობისანი არიან. თუ მეფობის ასეთი დოგმატიური საფუძველი არ უდევს, მისი შენარჩუნება ძნელია. ხალხი მეფეს, შაჰს, და სხვ. ისე უცქერის, როგორც უზურპატორსა და არც უყვარს. ასევეა საქმე სპარსეთში, ხოლო თუ შაჰობას ითმენენ სპარსელები, მხოლოდ იმიტომ, რომ მასთან ბრძოლა ძნელია. მის ხელშია ჯარი და ამას გარდა მოკავშირენიცა ჰყავს. მეორე მიზეზი, რომელიც შაჰებს ხალხისაგან იფარავს, ის არის, რომ შაჰები შიიტობის დამცველობას ჰკისრულობენ. სხვაფრივ შაჰი უბრალო მაჰმადიანია ისეთივე, როგორიც რაიატი (გლეხი) ან ხელოსანი. შაჰებმა ეს კარგად იციოდნენ, რომ ხალხი მათ პატივს არა სცემს, მჩაგვრელებად სთვლის და განთავისუფლებასა ჰფიქრობს. ამიტომ შაჰები ქვეყნის მოწესრიგებას არა ჰფიქრობდნენ. ამას მომავალს ანდობდნენ და თავიანთ საკუთარ პიროვნებისთვის-ღა ზრუნავდნენ. ამასთანავე, რასაკვირველია, ხალხი არც შაჰის მიერ დანიშნულ მოხელეებს ენდობოდა ხოლმე. შაჰი, რასაკვირველია, თავისით ვერ განაგებდა მთელ ქვეყანას. იგი ჰნიშნავდა დიდ ვეზირს, რომელსაც დიდ უფლებასა და ძალას აძლევდა. სამაგიეროდ სარდარაზმი მოვალე იყო შაჰის ყოველივე სურვილი შეესრულებინა და ყოველივე ხარჯი დაეფარა. იგი ინახავდა ჯარს, ჰარამხანას და სხვა. სარდარაზმს უფლება არა ჰქონდა უარი ეთქვა შაჰისათვის რაიმე ხარჯის აწევისა, შაჰი წამს განრისხდებოდა და ჯარიმას დააწერდა სარდარაზმს, ან თანამდებობიდან გადააყენებდა, ან არა და მოჰკლავდა კიდეც და მის ქონებას მიისაკუთრებდა, სარდარაზმი, რაკი ამოდენა ხარჯი კისრად ეწვა, სცდილობდა მეტი შემოსავალი ჰქონოდა. ხალხზე გაწერილი ხარჯი მთლად სასახლესა და ჩინოვნიკობას უნდებოდა, თვით ხალხისთვის არაფერი იხარჯებოდა, ამიტომ, რასაკვირველია, არც სახელმწიფო ხაზინა იყო სპარსეთში. ვნახოთ ახლა, რას აკეთებდნენ მინისტრები.

დიდ-სახელოვანი ფინანსთა მინისტრი, მხოლოდ სარდარაზმის ბუხჰალტერი იყო. მის ხელში გადიოდა ყველა შემოსავალი და ფეშქაში, რომლებიც სარდარაზმს ეკუთვნოდა. ფინანსთა მინისტრი მოვალე იყო ყოველთვის მიეცა სარდარაზმისათვის თანხა, რამდენსაც კი იგი მოითხოვდა. ბუხჰალტერ-მინისტრს ამ თანხის დაგვიანება ერთ თვეზე მეტად არ შეეძლო, თუ არა და ჯარიმას იხდიდა. ხანდისხან შაჰისა და სარდარაზმის ნებართვით იგი ფულს ზარაფებს (ბანკირებს) აძლევდა სარგებლისათვის. ყველა ამის სამაგიეროში ბუხჰალტერ-მინისტრი ზარაფებისაგან ფეშქაშს იღებდა და სასამართლოშიაც მუდამ მართალი გამოდიოდა. ზარაფებიც 5% აძლევდნენ ხოლმე. ფინანსთა მინისტრს, რასაკვირველია თავისი ხელ-ქვეითები ჰყავდა, მაგ. მეკარეები, მეეზოვენი, მცველები, დამტარებლები, მდივნები და სხვა. მინისტრი ამათ ჯამაგირს არ აძლევდა პირ-იქით, ესენი აძლევდნენ მას ფეშქაშებს; როცა მინისტრთან ვისმე მისვლა დასჭირდებოდა, ეს ამოდენა ხროვა წვრილ-ფეხა ჩინოვნიკებისა, მთხოვნელს ისე არ მიუშვებდნენ მინისტრთან, ვიდრე, სასყიდელს არ გამოართმევდნენ. ყველას უნდა აეღო სასყიდელი, 20 კაცამდე უხდებოდა მთხოვნელს გასტუმრება. ჩივილი ამის თაობაზე რასაკვირველია არ იქნებოდა.

შინაგან საქმეთა და პოლიციის მინისტრი სარდარაზმის თანაშემწედ ითვლებოდა. იგი მოვალე იყო მიეცა სარდარაზმისათვის ფეშქაში და შემდეგ ყოველ წლივ გადაჭრილი თანხა ეძლია. ამის გარდა, რაკი ეშინოდა, რომ მოქიშპეთ მისთვის ფეხი არ წამოედოთ და თანამდებობა არ დაეკარგვინებინათ, იძულებული იყო შაჰისა და სარდარაზმისათვის ფეშქაში ეძლია.

შინაგან საქმეთა მინისტრი სარდარაზმისაგან დედა-ქალაქის გენერალ-გუბერნატორობას ჰყიდულობდა ხოლმე და პოლიციელთა თანამდებობასა ჰყიდდა (ბეგლარ-ბეგობას, ქეთხუდობას, ქალანთარობას) შინაგან საქმეთა მინისტრი ვაჭრებზე გაწერილ ხარჯებს 20%-ით მეტს იღებდა, ეს მეტი ფული შინაგან საქმეთა სამინისტროს სასარგებლოდ მიდიოდა.

საინტერესოა ეგრედ წოდებული „სახალხო მინისტრის“ მდგომარეობა. ეს ერთი საცოდავი თანამდებობა იყო, რომლის მეთაურის ხელში ერთი სასწავლებელიც კი არ იყო. განათლების მინისტრიც ყიდულობდა თავის თანამდებობას და მისი შემოსავლის წყარო, მხოლოდ გამოცემათა და ავტორთა ექსპლუატაცია იყო.

აი ასეთი იყო სპარსეთის უმაღლესი მთავრობა, მისი მთელი სისტემა მხოლოდ ხალხის ყვლეფა იყო, ხალხის ფული ჩინოვნიკებისა და შაჰის გაუმაძღრობას უნდებოდა, თვით ხალხი კი უპატრონოდ, ღვთის ანაბარად მიგდებული ტანჯვას განიცდიდა. არც გზები, არც სკოლები, არც სხვა რამ დახმარება მისთვის არ არსებობდა. საკვირველიც არის, რომ ხალხმა აქამდის გაუძლო ამ მდგომარეობას; მით უფრო საკვირველია, რომ შაჰის პიროვნება მისთვის წმინდათა წმინდას არ წარმოადგენდა. იგი ხალხის წარმოდგენით მხოლოდ მყვლეფავი და უზურპატორი იყო. ასეთივე თვალით უცქეროდა ხალხი შაჰის მთავრობასაც და ეს თვალსაზრი, როგორც მკითხველი დაინახავდა, შემცდარი იყო. რა თქმა უნდა საკვირველი არ იყო ხალხის ის ერთსულოვნობა, რომელმაც ძველი წესწყობილება დასცა და მაჰმედ-ალი გააძევა.

***

მაჰმედ-ალი-შაჰი დაიბადა 1872 წელს: მამა მისი იყო მუზაფერ-ედდინ-მირზა და დედა, დიდი ვეზირის სარდაზაზის ქალიშვილი უმ-ულხაგანი. ცოლ-ქმარს დიდი უთანხმოება ჰქონდათ. მუზაფერი ლამაზი და ჰაბუკი ყმაწვილი კაცებით ერთობოდა და სრულიად დავიწყებული ჰქონდა თავისი ჰარამხანაც და პირველი ცოლი უმ-ულ-ხაგანი, რომელიც ქმრის ასეთს საქციელს ვერ იტანდა. მაჰმედ-ალი ჯერ ისევ ძუძუზე ჰყავდა, როცა ქმარს მამასთან წასვლა და უფლება გამოსთხოვა. მაზაფერი მაშინ ადერბეიჯანის ნა-

*) ჩვენ აქა ვსარგებლობთ სპარსელ სომხის არტემერიკ წიგნით.

*) შიიტები, მაჰმადიანთა სექტაა. მათი რწმენით მაჰმადის ხამდვილი მემკვიდრე ალია იყო, დანარჩენი სამის, რომლებიც ალიამ წინედ იყვნენ, აბუბეკრას, ოსმანს და ომარს უარხა ჰყოფენ. აგრეთვე, არა ხწამთ მათ მიერ დატოვებული აზნა ყურანისა. სპარსელები შიიტები არიან; ოსმალები სუნიტები.

მარტო ბ-ნი ილია ჩიქოვანის ლაღადისი, რაც უნდა იგი ძლიერი იყოს, საქმეს ვერ მოაგვარებს. ამიტომ ვისაც კი შეუძლიან და უფლება აქვს, ხმა უნდა ამოიღოს რათა ეხლა მაინც არ ჰცდეს ქუთაისს რკინის გზა.

***

რაკი რკინის გზაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, აღვნიშნოთ ის უხერხულობა, რომელიც გამოწვეულია მატარებლების მიმოსვლით. ქუთაისიდან ტფილისისაკენ 3 მატარებელია; გარდა საფოსტო მატარებლისა, სხვაზე უფრო მოხერხებული ჩქარი მატარებელია, რომელიც აქედან 1 საათზე მიდის რიონში. აქ-კი ხშირად მგზავრს ეუბნებიან „ადგილი არ არისო“ და იგი იძულებულია მეორე მატარებელს უცადოს, რომელიც რიონში დილის 5 საათზე მიდის. ნუ თუ არ შეიძლება ქუთაისიდან მიმავალ მგზავრთათვის ჩქარ მატარებელში რამოდენიმე თავისუფალი ადგილი შეინახონ და ამ უხერხულობას აცდინონ?

ი. კ. ქ.

# ქიზიყის ვითარება

კვირას, 17 ივლისს, სიღნაღის მარშალ მალხაზ ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით ს. ქვემო-მაჩხაანში მახლობელ სოფლის წარმომადგენელთა კრება მოხდა მომავალ კახეთის რკინის-გზის გზის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

კრებაზე გადასწყდა: ახლავე დეპეშა გაეგზავნოს მარშალ მალხაზ ანდრონიკაშვილის სახელით გზათა მინისტრს, რათა უმაღლესად დამტკიცებული გზის მიმართულება (პრასიანის უღელტეხილზე) ჩალაუბნის უღელტეხილისაზე არ შესცვალონ, როგორც ეს უკვე გადაწყვეტილი აქვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას და შესაფერი შუამდგომლობაც აღძრული.

ამ კრებაზედვე გადასწყვიტეს ქიზიყის ყველა სოფლის საზოგადოებაში შეადგინონ განაჩენები, რომლებითაც ისინი მიმართავენ კავკასიის ნამესტნიკსა და გზათა მინისტრს, რათა არ იქმნეს შეცვლილი უმაღლესად დამტკიცებული კახეთის რკინის გზის მიმართულება და გაიყვანონ იგი პრასიანის უღელტეხილზე, როგორც უკეთესად დამაკმაყოფილებული მთელ ქიზიყის მცხოვრებთა ინტერესებისა. ამ განაჩენების მირთმევა და შუამდგომლობა დავალებული აქვს ათის კაცისაგან შემდგარ დეპუტაციას, რომელიც პირადადაც მოელაპარაკება ამ საგნის თაობაზე და წარუდგება კავკასიის ნამესტნიკის მოადგილეს. დეპუტაციის წევრებად აირჩიეს: თავადი იოსებ ზაქარიას-ძე ანდრონიკაშვილი, აზნაური ალექსანდრე სოლომონის-ძე ნაცვლიშვილი, ზაქარია იოველის ძე ნაცვლიშვილი, დიმიტრი გუნაშვილი, ალექსანდრე ვასილის-ძე ნადირაშვილი, ქვემო-მაჩხაანის მამასახლისი ალექსი გივიშვილი, ტიბაანის მღვდელი კონდრატი ნინიკაშვილი, ჯუგაანის მამასახლისი ფიფო გიორგის ძე ალადაშვილი, ბოდბის მამასახლისი ვასო ფიფოს-ძე კობიაშვილი და ანტონ ნატროშვილი. X.

## სურათების გამოფენა და საორკვირო სამხატვრო კურსები სოფელს დიდს კარაკლისში

ეს მეორე თვეა, რაც აქ ივანიანცის თაოსნობით გახსნილია გამოფენა ბაქოს სომხეთ ორკლასიანი სამრევლო სკოლის მოწაფეების ნახატ სურათებისა. ამავე ივანიანცის თაოსნობით მოწყობილი საორკვირო სამხატვრო კურსები, რომლის ხელმძღვანელიც თვითონ არის და სწავლის ფასად ხუთი მანეთი დაუწესებია. კურსებზეც იღებენ ყველას, განურჩევლად ეროვნებისა და წლოვანობისა. სურათების გამოფენას ერთი დიდი ოთახი უჭირავს, სადაც მოთავსებულია ხუთ განყოფილების მოწაფეთა ნახატი და ნაწარმოები. ნახატები არის აკვარელით, ტუშით, კარანდაშით და ნახშირით. შესვლა და დათვალიერება გამოფენისა უფასოა. სამხატვრო კურსებიც აქვე არის მოთავსებული; უკვე ჩაწერილა 15-დე პირი, რომლებსაც თითქმის ორი კვირის განმავლობაში თითქმის მთლად გაევარჯიშებინათ ხელი და თავისუფლად ჰხატავდნენ და უყენებდნენ ფერებს. ივანიანცმა, რომელმაც სიამოვნებით მიგვიღო გამოფენის დასათვალიერებლად, გვითხრა: დღეში შვიდი საათი მუშაობა მაქვს ამათთან და კარგადაც შევასწავლე ხატვაო. მან სხვათა შორის აგვიხსნა, რომ ნიჭს დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ვარჯიშობას და სწავლასაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მხატვრობაშიო; ამის დასამტკიცებლად მოგვიყვანა მაგალითი ბაქოელ ორკლასიან მოწაფეების ნახატებისა, სადაც ყველა შეგირდს ნახატი იყო და არა ნიჭის მიხედვით შიგ რჩეული—რომლებსაც შრომა და მეცადინეობა ეტყობოდათ. განცვიფრებაში მოვყავდით ამისთანათვალ წარმტაც სურათებს; მშვენიერი პეიზაჟები, ცოცხლად გამოიყურებოდნენ. პირველი და მეორე განყოფილების ნახატები მთლად ბავშვების ცხოვრებიდან იყო აღებული და მეტი წილი პირუტყვები ჰქონდათ ნახატი. მესამე და მეოთხე განყოფილების უფრო მეტი წილი აღმოსავლეთის გემოვნება ჰქონდა გადაღებული და ფერადებით შეთანხმებული—აქ ჰნახავდით ფერადებით ნახატ ეგვიპტის უწინდელი ხელოვნებისა, სპარსეთის ქურქელს და ძველ-ბერძნეთის დროიდან ბევრს მხატვრებს. იყო მშვენიერი უბრალო სურათი „რობინზონ კრუზესი“ თავისებურ გემზედ მდგომი. მეხუთე განყოფილებას, რა თქმა უნდა, უფრო მეტი გაუმჯობესება ეტყობოდა და მთლად დამთავრებული სურათებიცა ჰქონდათ. მშვენიერი იყო ლ. ტოლსტოი, გოგოლი, ლერმონტოვი და სხვანი—მეტად ცოცხლად იყო გადმოხატული მშვენიერი ქალი საპყრობილეში ხელებ შეკრული—ეს სურათი ერთ-ერთ ქართულ გაზეთის დამატებაში მინახავს. ერთის სიტყვით ბევრი იყო როგორც გადმოხატული ისე ორიგინალი ნახატები. მათივე ხელოვნება იყო თიხისგან გაკეთებული პატარა ქანდაკებანი ცხოველებისა, ფოთლებისა და ყვავილებისა და სხვა.

იქ მყოფთ ამ სანახაობამ ნათლად დაგვიმტკიცა, რომ შრომითა და მეცადინეობით საშუალო ნიჭის პატრონსაც შესძლებია ხატოს მშვენიერი სურათები.

დავბრუნდი ნახვით ნასიამოვნები. და გზად ფიქრმა წამიღო: ჩვენ ხომ ამას და ამისთანა და ბევრს სხვას მოკლებულნი ვართ. ნუ თუ ეს ყველა ზემოდ აწერილი ისე მიუწდომელია ჩვენთვის, ქართველებისთვის, რომ ერთი ორი გაკვეთილი კვირაში ჩვენ ქართულ სკოლებშიაც დაეთმოს ამისთანა წამხალისებელს და ცოტად თუ ბევრად სასარგებლო საგანს. თუ ყველა დაბალის ერთ კლასიანს სასწავლებელში ეს შეუძლებელია, მასწავლებლების არყოლის მიზეზით—რათ უნდა იყოს მოკლებული ამას ორკლასიანი და ოთხკლასიანი დაბალი სასწავლებელი.

ან განა შეუძლებელია ზაფხულობით ჩვენშიაც იმართებოდეს ამგვარი სხვა და სხვა კურსები ცოტა ხნობით და მით მსურველთ საშუალება ეძლეოდეს ხელმისაწდომ ფასებში შეიძინონ ცოტა რამ.

კარაკლისში ზედიზედ იმართება ყოველწლივ მეძეობის კურსები, წელსაც არის, როგორც გავიგე. შარშან აქ ფეხსაცმელის კერვის კურსებიც ყოფილა.

კარაკლისში ძალიან ხშირად შეჰხვდებით ამნაირ განცხადებას: „18 ივლისს ბატ. ერევანი წაიკითხავს უფასო ლექციას შინაურს საქონლის მოვლა მოშენების თაობაზე“.

„10 საათზე, ხვალ ბ. გრძელიანი წაიკითხავს ლექციას მებოსტნეობასა და ხეხილის ავადმყოფობის შესახებ. მსურველთ ვთხოვთ მობრძანდნენ მოსასმენად“.

„21 ივნისს ბატ. ბარხუდაროვი შეუდგება გეჯებიდან რაციონალად ფუტკრების გადასხმას ჩარჩოიან სკებში დადან-ბლატასი—ვისაც დასწრება ჰსურს, ვთხოვ მობრძანდნენ ამ ბაღში ამა და ამ საათზე, და ბევრი ამისთანა.

კახეთში გამივლია და ხშირად შეხვედრივარ განცხადებებს: „სუდები პრისტავი ამით ვაცხადებ, რომ დანიშნულია ტორგით გაყიდვა ამის მამულების და მოძრავი ქონებისა. ვთხოვ მობრძანდნენ მეტორგეები ამ საათზე“...

ესეც ხომ განცხადებაა, განა სულ ერთი არ არის??

ივ. დალაქიშვილი.

## მოწაფეთა ექსკურსია

ივნისის ბოლო რიცხვებში მერევის ორ-კლასიან სასწავლებლის მასწავლებლებმა და მოწაფეებმა რიცხვით 50 პირმა, ამავე სასწავლებლის ზედამხედველის ბ. გელაშვილის მეთაურობით გამართეს ქ. ქუთაისს ექსკურსია. უკანასკნელს მიზნადა ჰქონდა მოწაფეებს დაეთვალიერებინა ქ. ქუთაისი, ტყიბულის ქვა ნახშირის მადანი, გელათის და მოწამეთის მონასტერი.

22 ივნისს ექსკურსანტები გაემგზავრენ მატარებლით ქიათურიდგან, ჩამოხტენ ყვირილაში და დაათვალიერეს დაბა და იმავე დღესვე ღამის მატარებლით გაემგზავრნენ ქუთაისში.

მეორე დღეს დაათვალიერეს ქალაქის საკათედრო ტაძარი, ბაღი, სავაჟო გიმნაზია, რეალური სასწავლებელი, უძველესი ტაძარი, აშენებული ბაგრატ მეფისაგან, რომელიც მდებარეობას არქიელის გორაზედ და ციხე; მერე ქუთაისის საბაღოსნო სკოლა და სხვა.

24-ში ექსკურსანტები აპირებდნენ ტყიბულში გამგზავრებას, მაგრამ მადანში ცეცხლი გაჩენილიყო და მით შეუძლებელი გახდა მისი დათვალიერება. ნახეს მხოლოდ გელათის მონასტერი და დაათვალიერეს შესანიშნავი ნივთები.

იქიდან გამოემგზავრენ მოწამეთის მონასტერში, სადაც წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ნესტორმა მისცა ჯეროვანი დარიგება მოსწავლეებს და უსურვა კარგი სწავლა, ამასთანავე ერთად დაურიგა მათ სასულიერო შინაარსის წიგნაკები.

იმავე დღესვე დაბრუნდნენ ექსკურსანტები ქუთაისს. 25-ში მოვიდნენ ქიათურაში და იქიდან სასწავლებელში. ყოველივე ნახულმა მოახდინა მოსწავლეებზედ კარგი შთაბეჭდილება და ისურვეს გულით გამართვა ექსკურსიის მომავალში. ამის მიხედვით ამ სასწავლებლის მასწავლებელთა საგაისოდ ექსკურსია უნდა მოაწყონ ქ. ბათუმსა და ფოთში.

მასწ. მღ. ბესარ. გაფრინდაშვილი.

# მოწერილი ამბები

სოფ. ვაჩნაძიანი (შიგ. კახეთი) შარშან შესდგა ვაჩნაძიანში ახალი საზოგადოება, რომელმაც განიზრახა დაარსებინა სამკითხველო და მალეც შეასრულა თვისი სურვილი. დიდის გულმოდგინებით ეპყრობიან ამ ახლად დაარსებულ სამკითხველოს მთელი საზოგადოება და განსაკუთრებით კნ. ეკატერინე ჯანდიერისა და მათი დედა კნ სალომე. დაარსებისათანავე საერთოდ ჯანდიერიანთ შესწირეს რამდენიმე ადგილი—მიწა, რომელიც უნდა გაყიდულიყო და სამკითხველოს შენობისათვის მოეხმარებინათ. თ. გიგო ჯანდიერმაც შესწირა მიწა, რომელზედაც უნდა აშენდეს სამკითხველო და სხვა და სხვა...

ყველაზე საყურადღებო კი ის არის, რომ ამ ახლად დაწყებულს საქმეს დიდის თანაგრძნობით ეპყრობა როგორც თავადობა, ისე გლეხობა. იმედია ეს საქმე უფრო გაფართოვდება და შესაფერს ნაყოფსაც გამოიღებს, რომელიც იქნება საუკეთესო ძეგლი დამაარსებელთათვის.

მახლობელი.

# სპარსეთის ამბები

24 მკათათვე.

**ასტრაბადი.** „რუსსკოე სლოვოს“ და სხვათა გაზეთების ცნობა, ვითომც გლობაჩევი და რამდენიმე ოდესელი მაჰმედ-ალის ახლდნენ, ტყუილია. ნაზაჰარის ჯარში ერთი უცხოელიც არ არის.

**თეირანი.** სამადანიდან ცნობა მოვიდა, რომ ხალხის ბრბო მთავრობის დაწესებულებებს თავს დაესხა და ენჯუმენი დაჰსწვაო. ბევრი დაუხოციათ და დაუჭრიათ. ხალხი სალარე-დოულეს მოსვლასა თხოულობს. სალარე-დოულეს საწინააღმდეგოდ ხაბადანიდან ჯარი გაიგზავნა.

**საექსპედიციო რაზმის მეთაური.** მაჰმედ-ალის საწინააღმდეგოდ გაგზავნილ რაზმის მეთაურად სარდარ-მახე დაინიშნა. თეირანელები ამან ვერ დაამშვიდა. სარდარ-მახე საპეხდარისა და სარდარ-მანსურას (მაჰმედ-ალის მეგობარია) მეგობარია. ქალაქში ღალატზე ბევრს ლაპარაკობენ.

**მაჰმედ-ალი.**

თეირანიდან იტყობინებიან: მაჰმედ-ალი და შოა-სალტანე ბენდერ-გიაზში გემით სადღაც წავიდნენო. ჰფიქრობენ, ისინი ან ასტარისაკენ გაემგზავრებოდნენ ან ენზელისაკენაო.

**თურქმენების უთანხმოება.**

მაჰმედ-ალის მომხრე თურქმენები ორ ბანაკად გაიყვნენ და ბრძოლაც მოუხდათ.

---

მესტნიკად იყო. მიიღო რა ხაგანმა წასულის ნებართვა წამსვე გაემგზავრა მამასთან; მაგრამ აქ გამოირკვა, რომ ხაგანი ქმარს სამაგიეროს უხდიდა. თეირანში საგანი ყველას ეუბნებოდა, რომ ჩემი მამამთილის ნასრ-ედ-დინის საყვარელი ვარ, ტახტის მემკვიდრის მუზაფერ-ედ-დინის ცოლი და ბატონიშვილ მაჰმედ-ალის დედაო. ჩემი გარყვნილებით სამაგიეროს უხდიო ქმარსაც და ყველასაცაო. ამან რასაკვირველია დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ქალს მხარი დაუჭირა უმაღლესმა სამღვდელოებამ და შახს ნასრ-ედინს საქმის გარჩევა მოსთხოვა, მაგრამ შაჰს არ უნდოდა შინაურ ცხოვრების გამოაშკარავება და ყველაფერი დავიწყებას მისცა.

მუზაფერ-ედ-დინი მარტო დარჩა თავის შვილით მაჰმედ-ალით. შვილი ჰარამხანის ქალებს არ ანდო და ზრდიდა. ამასობაში მუზაფერი დარწმუნდა, მეკობრეები არა მყავსო, რომ ვინც გარს ახვევია მხოლოდ ფულისთვის ემსახურება, რომ ჰარამხანის ქალებს იგი არ უყვართ. მეგობრად მხოლოდ შვილი-ღა დარჩა, მხოლოდ ამასთან ატარებდა დროსა და დარდს გულში იხვევდა. ამან მაჰმედ-ალი შეაჯავრა სასახლის ხალხს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი ჯაშუშობდა. ჰაბუკი მაჰმედი კარგად ამჩნევდა, რომ მას ყველა ეჭვით ეპყრობოდა; მაჰმედს ჩუმ-ჩუმად „ველედი ზილს“ (როსკიპის შვილს) უძახდნენ. ამ რიგად პატარა მაჰმედი თავიდანვე შეიჯავრეს. ან რად გაუფრთხილდებოდნენ! იგი ხომ ტახტის მემკვიდრე არ იყო და არც არავის ეგონა თუ შახად გახდებოდა.

ფეხტ-ალი შაჰის სამემკვიდრო კანონით ტახტი შაჰის უფროსს შვილს ერგებოდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ყაჯარის გვარეულობის ქალის შვილი იქნებოდა. მაჰმედ-ალის დედა კი მხოლოდ დიდი ვეზირის შვილი იყო; ტახტი მუზაფერ-ედ-დინის მესამე შვილს შოასალტანეს ერგებოდა.

მკითხველი კარგად ჰხედავს, თუ რა პირობებში იზრდებოდა მაჰმედ-ალი. მას ბავშობა არა ჰქონია, ამხანაგები არა ჰყოლია, გარს მუდამ დიდრონები ეხვივნენ; მან ადრე გაიცნო ცხოვრება, სახელმწიფო საქმეები, სასახლის ხალხის პირ-ფერობა, სიყალბე; შეეჩვია მბრძანებლობას, თავის შეკავებას და სამაგიეროს გადახდას.

მამა მისი, მუზაფერი სუსტი ხასიათის კაცი იყო. მოახლენი და ნაზირვეზირები ჰყვლეფავდნენ. და საქმე ისე გაუხდა, რომ შვილები ფეხშიშველნი დაუდიოდენ; უნდა მოგახსენოთ, რომ სპარსეთის მოხელეებს ჯამაგირი არა აქვთ და ფეშქაშებით ცხოვრობენ. ვინ იცის რამდენ ფეშქაშებსა ჰკარგავდნენ მახლობელნი და რასაც თითონ იღებდა იქიდანაც წილს უდებდა ხოლმე. პატარა მაჰმედს მამის ასეთი საქციელი არ მოსწონდა და მუდამ ცდილობდა როგორმე დაეფარა მყვლეფავებისაგან. იგი, როგორც კი შეატყობდა, მამას რასმეს სთხოვენო, მუდამ მოარიდებდა ხოლმე მას.

14 წლის მაჰმედ მამამ ადერბეიჯანის ჯარის მთავარ-სარდლად და დანიშნა. მაჰმედმა თავის ახალ მდგომარეობით გამოცდილ კაცივით ისარგებლა და ერთი გენერალიც არ გადარჩა, რომ ფეშქაშები არ გამოერთმია. მას ადრე გაეღვიძა ქონებისა და სიმდიდრის შეძენის ჟინი. ერთხელ თავრიზს მოვიდა მისი პაპა, შაჰი ნასრ-ედ-დინი, შაჰს მაჰმედი მიეგება და ისე ელაქუცა, ისე მიუდგმოუდგა პაპას, რომ პაპამ უმაღლესი ჯილდო უბოძა და თავის შვილიშვილზე, სამხედრო მინისტრის ნაიბ-სალტანეს ქალიშვილზე დანიშნა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ნაიბ-სალტანე თეირანში უგანათლებულესი კაცი იყო და იმისთანა გავლენიანი სხვა აღარ მოიპოვებოდა. გახარებული მაჰმედი ახალ თავის სიმამრს მიეფერა და თავი შეაყვარა. მამა მაჰმედისა ძალიან გაღარიბებული იყო და შესაფერ ქორწილს ვერ გადაიხადა, ამიტომ ქორწილი დიდი ხნით გადაიდო. ხუთი წელი აგროვა მუზაფერმა საჭირო ფული, და როგორც იყო, ზოგი ვალითა და ვახშით, ზოგი მამულების გაყიდვით, საჭირო ფული შეაგროვა და ქორწილის დღეც დანიშნა. მაჰმედი წამას გაეყარა თავის პირველ უბრალო გვარიშვილის ცოლს, შვილი მამის ჰარამხანას გაჰგზავნა, ყმაწვილი კაცები თავიდან მოიშორა და საცოლეს, რომელიც თეირანიდან თავრიზში მოვიდა, დიდი ამბით დახვდა. სულ იმის ცდაში იყო, მოსწონებოდა მას, მაჰმედ-ალი არ მოსტყუვდა, მისი ცოლი მელიქეი-ჯიჰანი, მხოლოდ ლამაზი კი არა ჭკვიანი და მგრძნობიერი მეგობარი გამოდგა. ახალ-გაზრდა ქალი თამამად ლაპარაკობდა სახელმწიფო საქმეების შესახებ, და მაჰმედ-ალის უსაზღვრო ნდობა და სიყვარული მალე დაიმსახურა. ქმრის ჰარამხანაში მხოლოდ იგი ჰმეფობდა.

1896 წ. ნასრ-ედ-დინი მოჰკლეს. ტახტზე მუზაფერ-ედ-დინი ავიდა. მას ეშინოდა თავის ძმისა ზელლისულთანისა, ეს ანგლოფილი იყო, მან პირველად მოაწყო სპარსეთის ჯარი ევროპულ ყაიდაზე და მამას, ნასრ-ედ-დინს აუჯანყდა, ტახტის წართმევა უნდოდა, მაგრამ ვერ მოუხდა და სიკვდილს ინგლისის მისიამ დაიხსნა.

რაკი მუზაფერი გამეფდა, მემკვიდრის სახელიც უნდა გამოექვეყნებინა: ყველასთვის ცხადი იყო, რომ მემკვიდრედ შოა-სალტანე იქნებოდა, მამას კი გულში მამედ-ალი ჰყავდა. ძნელი იყო წესის შელახვა, მაგრამ ბოლოს მაინც გაჰბედა, მაჰმედ-ალი მემკვიდრედ და ადერბეიჯანის ნამესტნიკად გამოაცხადა. ამ ამბავმა ძალიან აღელვა სპარსეთი, მეტადრე ჰარამხანა და კარის კაცნი, მაგრამ სადრაზამმა, მაჰმედ-ალის სიმამრმა ყველანი დაამშვიდა. 1896 წელს მაჰმედი უკვე „ვალიატი“ (მემკვიდრე) თავის სანამესტნიკოს წავიდა (სპარსეთის წესით მემკვიდრე მუდამ ადერბეიჯანის ნამესტნიკია. აქ მან თავის სიმდიდრის მოყვარეობას ფრთა ფართოდ გაუშლევინა და ხალხი აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდო. იგი ისეთს ვაჭრობის საქმეში ჩაერია და ისე მოაწყო საქმე, რომ ხალხი დაამშია. ხელოვნურად დააძვირა პური. ხალვარი და (33 ფუთი) წინედ თუ 4 მანეთად ღირდა, ეხლა 5—7 თუმნად გახდა. მამედ-ალი თავს იმართლებდა, არ უნდოდა ეწყენებინა ხალხისათვის, რომ მდიდრების მხარეზე იყო და მათთან ერთად ჰმოქმედობდა.

ამასობაში ხალხის უკმაყოფილება გაიზარდა. საქმე სარევოლუციოდ მიდგა. გაჩნდა პოლიტიკური კლუბები „ენჯუმენები“. ხალხი დემონსტრაციებს ჰმართავდა და კონსტიტუციას ითხოვდა. დიდი ბრძოლის შემდეგ მუზაფერ-ედ-დინმა ხალხს დაუთმო და კონსტიტუცია გამოსცა. 1907 წ. 7 იანვარს მუზაფერი გარდაიცვალა. ტახტზე მაჰმედ-ალი ავიდა. იგი იძულებული იყო კონსტიტუციისათვის (მეშრუტე) ხელი მოეწერა, მით უმეტეს, რომ გაგებულო ჰქონდა რუსეთის ამბავი-სათათბირო. მაგრამ ძალიან კი სწყინდა ეს კონსტიტუცია.

მეჯლისმა ისეთი კანონები შემოიღო, რომელიც ხალხს ცხოვრებას გაუადვილებდა. ყველაზე ძალიან მაჰმედ-ალი-შაჰი და რეაქციონერები ხარჯის რეფორმამ გააბრაზა. კონსტიტუციის ყველა უკმაყოფილო შეაერთა.

სწორედ სპარსულად დაიწყო შაჰმა მეჯლისის წინააღმდეგ მოქმედება. 1907 წელს ზაფხულში, შაჰმა მიიწვია ერთი გამოჩენილი მემარცხენე წევრი მეჯლისისა. ჯერ მოულოქუცა, მერე სთხოვა ძველი ყველაფერი დავივიწყოთ დაშინაური საპოლიტიკო საქმეები ერთად მოვაწყოთო და ბოლოს 1.000 თუმანი. (2500 მან). შესთავაზა. მეჯლისის წევრმა ეს ამბავი მაშინვე მეჯლისს მოახსენა: მე რასაკვირველია არ გაგყიდეთ, არც თქვენ და არც ხალხიო—სთქვა მან მეჯლისში—უტყუარ საბუთს გაძლევთ იმისას, რომ ჩვენ შაჰს ქვენა გრძნობები აქვს და კონსტიტუციის მტერია. ჩვენი მტრის სურვილებს ნურასოდეს დაივიწყებთ. დიე, ეს ჩემი სიტყვები შაჰს გადასცენ, მისი არ მეშინიანო. ამის შემდეგ მეჯლისმა შაჰს მოსთხოვა, რომ თავისი მახლობლები დაეთხოვა.

რეაქციონერთა პარტიამ, რომელსაც სათავეში შაჰი ედგა, ჩუმჩუმად დაიწყო მოქმედება. მეჯლისი კი გახურებული მუშაობაში იყო. იგი სცდილობდა ხალხი სასულიერო წოდების გავლენისაგან გაენთავისუფლებინა. ხალხმა გაზეთებისა და იაფფასიან გამოცემათა საშუალებით ყველაფერი გაიგო და მთელ თავის იმედს მეჯლისს ამყარებდა. მაგრამ რეაქციონერთა მოქმედებამ ნაყოფი გამოიღო, შაჰმა კონსტიტუცია უარჰყო და მეჯლისს ზარბაზანი დაუშინა. ბევრი კარგი კაცი დაჰკარგა მაშინ სპარსეთმა. საშინელი სისხლის ღვრა გაჩნდა. ხალხის მეთაურებს საშინლად აწამებდნენ. მეჯლისის ერთ წევრს სეიდ-მაჰმადს წვერები დააგლიჯეს და შაჰს ისე მიჰგვარეს, მეორე სეიდ-აბდულ-ულემი-მემალიკი, ცნობილი წინასწარმეტყველის მაჰმადის გვარისა, მოჰკლეს, აჰკუწეს და ძაღლებს აჭამეს. შახმა ამის შემდეგ კონსტიტუციის ერთგულების ფიცი კიდევ მიიღო; ამისთანა ფიცი მაჰმედ-ალის 8-ჯერ აქვს მიღებული. ასე დასრულდა სპარსეთის პირველი პარლამენტი. მაგრამ მაჰმედ-ალი გამარჯვებული არ იყო. მას 2 ათასი დაქირავებული ჯარის კაცი ჰყავდა, ხალხი კი, რომელსაც კონსტიტუცია უნდოდა, 12 მილიონი იყო. ამ ხალხს სათავეში სათარ-ხანი ჩაუდგა და ათი თვის ბრძოლის შემდეგ რეაქციონერები სრულებით დასძლია. ხალხმა გააძევა შაჰი. ბევრი იყო მისი მოკვლის მსურველი, მაგრამ ეს არ მოხდა. ეხლა კი, როგორც ვხედავთ, ორი წლის უტახტოდ ყოფნის შემდეგ, ძველი შაჰი ისევ შეესია სამშობლოს. ამბობენ, შაჰმა აზრი გამოიცვალა, ისეთი აღარ არისო, მაგრამ ვინ დაუჯერებს იმ კაცს, რომელმაც 8-ჯერ შეჰფიცა კონსტიტუციას და რვაჯერვე დაარღვია თავისი მეფური ფიცი?

დიდი ბრძოლა მოელის სპარსეთს. შეიძლება ყველაფერი, წვითა და დაგვით მოპოვებული ხელიდან წაუვიდეს, მაგრამ კიდეც, რომ დაამარცხოს შაჰი, მაინც დიდი დრო დასჭირდება, ვიდრე ამოდენა სისხლის ღვრით და უწესოებით დასუსტებული, წელს მოიმაგრებდეს.

ა. ტ.

### ბუშირში.

სტამბოლში ოსმალეთის ბუშირელ ელჩს დეპეშა გაუგზავნია, რომ სპარსელი რევოლუციონერები (?) ინგლისის საელჩოს დაეცნენ. ელჩს ჯარი დაუბარებია.

### რუსეთის პოლიცია.

ბაქოში რუსეთის პოლიცია ვინც კი სპარსეთს მიდის, ყველასა სჩხრეკს და პასპორტებს უსინჯავს.

### სპარსეთი და სახელმწიფონი.

პეტერბურგელი დიპლომატები ამბობენ, შესაძლებელია, რომ სპარსეთის მთავრობამ უცხო სახელმწიფოთ მიჰმართოს და პროტესტი განუცხადოს რუსეთს, რომელიც ვითომ ხელს უწყობდა მაჰმედ-ალის მოქმედებასაო. რუსეთის დიპლომატებს გადაწყვეტილი ჰქონიათ, თუ სპარსეთის მთავრობა ასე მოიქცევა, რუსეთი თეირანელ ელჩს პეტერბურგს დაიბარებს და დიდ-ხანს აღარ გაჰგზავნისო. ამასთანავე რუსეთი უცხო სახელმწიფოებს მემორანდუმს გაუგზავნის; ამ მემორანდუმში დაწვრილებით იქნება აწერილი სპარსეთის საქმეები და დამტკიცებული იქნება, რომ რუსეთი ამ საქმეებში არ ერეოდა.

## უცხოეთი

### მაროკო.

როგორც „რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტს გაუგია, საფრანგეთ-გერმანიის შუა გამართული მოლაპარაკება წინ ერთი ბიჯითაც არ წასულა. მხოლოდ შეუტყვიათ, რომ საფრანგეთი გერმანიას მარტო მაშინ დაუთმობს აფრიკაში ადგილებს, თუ გერმანია მაროკოს საქმეებში აღარ ჩაერევა. მაგრამ ამის თაობაზე გერმანია არას ამბობს. როცა საფრანგეთს პირდაპირ უთქვამს დავკმაყოფილდებ, ოღონდ მაროკოზე ხელი აიღეო, გერმანია მთლად გაჩუმებულა. გერმანული გაზეთები ფრანკფურტში ინგლისს ამტყუნებენ. ერთი გაზეთი ხალხს აშინებს თურმე „საფრანგეთი შემოგვესევა", „შავკანა სალდათები" გერმანელ ქალებს გააუპატიურებენო. თოფხანების პატრონები ომის სასარგებლო აგიტაციას ეწევიან. გერმანელთა მემარჯვენენი მთავრობას ურჩევენ დასავლეთ მაროკო დაიჭირეო. აგიტატორები არა ჰმალავენ, რომ ისინი შინაურ პოლიტიკის მოტივებს ხელმძღვანელობენ. მათ ლიბერალიზმისა და სოციალ-დემოკრატიის დამარცხება უნდათ, რათა ხელი შეუწყონ ფლოტისა და ჯარის გაძლიერებას.

ამის წინედ გერმანიამ სამხედრო სროლა გამართა; ციხიდან ესროდნენ ზღვაში მავალ ნიშნებს; სროლის შემდეგ გამოაცხადეს რომ სროლამ კარგად ჩაიარაო. ზარბაზნებს და ბატარეებს დიდი სიფრთხილით ჰყარაულობდნენ. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ გერმანიაში ინგლისისა და რუსეთის ჯაშუშები გაჩნდნენო.

### ჩინეთი.

— ტიბეტი ჩინეთის ერთი დიდი ნაწილია. იგი ავტონომიურად არის დამოკიდებული ჩინეთზე. ტიბეტს განაგებს დალაი-ლამა და მისი ხელქვეითი ლამები. ესენი სასულიერო წოდებისანი არიან. ეხლა ჩინეთს გადაუწყვეტია, ტიბეტი თავის პროვინციად აქციოს. ამისათვის აზრად აქვს ტიბეტში ჩინელები ჩაასახლოს და დალაი-ლამისა და ლამთა ძალა მოსპოს. ტიბეტს, როგორც ეტყობა, ჩინელები ისევე ეკიდებიან, როგორც მონგოლეთს მოექცნენ. ეს აზრი ჩინელებს მას შემდეგ მოუვიდათ, რაც ლიბერალებმა აჯანყება გამართეს. ეხლა კი როცა ჩინეთის მთავრობას ამბავი მოუვიდა, ტიბეტის საზღვრებზე ინგლისის ჯარმა მოძრაობა დაიწყოო, მაშინ ჩინეთმაც თავის გადაწყვეტილების ასრულებაც დაეჩქარა.

— ეხლა-ხან დაბრუნდნენ ჩინელი დესპანები, რომლებიც ინგლისის მეფის დაგვირგვინებას დაესწრნენ. ჩინელები ძალიან ნაწყენები არიან, ცუდად დაგვიხვდნენო. დესპანებს მეფე-დედოფლისათვის 1/2 მილიონად ღირებული საჩუქრები მიურთმევიათ, მაგრამ ინგლისელებს მათთვის ყურადღება არ მიუქცევიათ, ჩინეთის დესპანები უბრალო კარეტაში ჩაუსხამთ და სიამის დეპუტაციის უკან გაუყოლებიათ. ნაწყენი დესპანები რა წამს დაგვირგვინება გათავებულა, მაშინვე წამოსულან ინგლისიდან.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 მკათათვე.

### საზღვარ-გარეთ.

**პარიზი.** ჰავასი იტყობინება ელკსარიდან, პოლკოვნიკმა სილვესტრმა შერიფების წინადადება ჯარის უფროსს მისცა. ან ქალაქიდან ჯარიანად ჯარიანად გადი ან ისპანიას დაემორჩილეო. ქაიდმა უპასუხა ამ ამბავს სულთანს მოვახსენებო. სილვესტრმა ქაიდს ორი კვირის ვადა მისცა და განაცხადა, რომ მთავრობის ყველა დაწესებულებანი მე მექვემდებარებიანო. საფრანგეთთან შეთანხმების მიუხედავად, ესპანელები მდ. ლუკოსის მარცხენა ნაპირზე გადავიდნენ და საყარაულოები გამართეს.

**პარიზი.** ელ-მოკსიმ კაიდს მაროკოს სულთანის სახელით სულთანის ორდენის დიდი ჯვარი გადასცა და მადლობა განუცხადა, რომ საფრანგეთის ჯარმა ფესი გაანთავისუფლა.

ჰავასის სააგენტო იტყობინება რომ საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკებაში ახალი არაფერია. როგორც ეტყობა უკეთესდება, რადგანაც გერმანია თავის პირველ მოთხოვნილებებს ისე ჯიუტად აღარ ადგა. ოპტიმისტობა ჯერ მაინც ადრეა, რადგანაც საფრანგეთისა და გერმანიის პირობანი ერთმანეთიდან შორსა დგანან.

**სტამბოლი.** მალისორები სამშობლოს ბრუნდებიან. ჩერნოგორია ხელს ძალიან უწყობს.

**სტამბოლი.** ოფიციალური ცნობებით, ჯერ-ჯერობით საზღვარზე გადასულა და სამშობლოს დაბრუნებულა 2 ათასი მალისორი. ალბანელები თხოულობენ, რომ დანარჩენ ალბანელებს იგივე პირობები მიეცეთ სამშობლოში დაბრუნებისათვის,

### რ უ ს ე თ ი.

**მოსკოვი.** მიუსსის მოედანზე ბალავერი ჩაუყარეს უნივერსიტეტის ახალ უზარმაზარ შენობას. დაესწრნენ პროფესორები, ქალაქის თვით-მმართველობა, შინიავსკის სახალხო უნივერსიტეტის მსმენელნი და სხ. ეს შენობა დაჯდება 500,000 მან. ჯერ-ჯერობით შეგროვილია 310 ათასი.

**პეტერბურგი.** მარსის მოედანზე აქ ჩამოსულ ათასობით „თავ-შესაქცევ რაზმები" („პოტეშნები") დაათვალიერა გენერალმა ფლუგმა და მადლობა გადაუხადა წესისათვის. მაყურებელი ხალხი დიდი აღტაცებით შეხვდა რაზმებს.

**ოდესა.** ბაქტერიოლოგიური გამოკვლევით ერთი კვირის განმავლობაში აღმოაჩინეს 6 კაცი შავი ჭირით ავადმყოფი.

**ბოგზნა.** გარდაიცვალა უკრაინელი მწერალი ქალი კულიში.

**ომსკი.** ჩამოვიდა გზათა მინისტრი.

**კიევი.** რკინის გზებზე მძარცველთა ბრბოს დაჭერასთან ერთად გაჩხრიკეს პოდოლის მაღაზია, სადაც ასაღებდნენ ნაძარცვებს. ნაწილი საქონლისა ჩამოართვეს მაღაზიას.

**აგლეევკა.** სოფ. არხანგელსკაში აკურთხეს ალექსანდრე მე-II ს ძეგლი გლეხთა-განთავისუფლების სახსოვრად, რომელიც დადგეს გლეხებმა თავისი ხარჯით.

## თეატრი და ხელოვნება

ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობა მხნედ შეუდგა მუშაობას. მომავალ სეზონისათვის ამზადებენ რეპერტუარს, სთარგმნიან ახალ პიესებს და იწვევენ დასში საუკეთესო მსახიობებს. სხვათა შორის ჯერ წინადადება მიუციათ დასში მონაწილეობისა: ქ-ნნი ჯავახიშვილი, ლოლუა, ბ.ბ. ზარდალიშვილი და იმედაშვილისთვის.

—

**ავლაბრის თეატრი.** გუშინ წინ, კვირას, 24 ივლისს-დილით. შემთხვევით მოვხვდი ავლაბრის თეატრში, სადაც სცენის მოყვარენი თამაშობდნენ ა. სუმბათაშვილის „ღალატს",

როლები ასე იყო განაწილებული: სულეიმან-ხანი—კილასონია, ზეინაბი კავთელი, რუქაია—ლელაშვილი, ისახარი—სარაული, ოთარბეგი—მანგოშვილი, ანანია—სარაული. ერეკლე—ფრანგიშვილი, დათო—თაიდგირიძე, საბა-ბერი—ოდიაშვილი, ყარა-იუსუფი დავლაშერიძე, გაიანე — მარგველაშვილი, ბესო—ყანჩარელი, მაიკო-ნი კიფორროვისა და გიგა—მირზაშვილი.

მკითხველო! გაგიგონია ეს ფსევდონიმები? გინახავს სადმე? ხომ არსად გინახავს?—ჰო და არც მე მინახავს.

თითქმის სუყველა პირველად გამოდის სცენაზე და პირველადვე სდგამენ სუმბათაშვილის „ღალატს", ნუ თუ უსირცხვილობა ამაზე შორს წავა!

როგორ ჩაიარა წარმოდგენამ? რა ვსთქვა?

აბა, რა უნდა ვსთქვა იმ წარმოდგენისას, სადაც ზეინაბი სცენაზე მონოლოგის თქმის დროს, მარაოთი იგრილებდა დასიცხულ სახეს.

რა უნდა ვსთქვა იმ მომქმედ პირებისა, რომელნიც ახალ მოდის ფეხსაცმელებით და „შანტეკლერის" კაბებით გამოდიან სცენაზე?

რა უნდა ვსთქვა იმ წარმოდგენისა, როცა მომქმედ პირებს პარტერიდან ჰკრეფდნენ და სრულებით მოუმზადებლად გამოჰყავდათ სცენაზე?

რა უნდა ვსთქვა, მეთქი, იმ წარმოდგენისა, სადაც ისახარის როლს მამაკაცი ასრულებდა?

და განა მარტო ესენი?..

საყვედურის ღირსია თეატრის ადმინისტრაცია, რომელიც თეატრს ყველას აძლევს განურჩევლად.

საყვედურის ღირსია აგრეთვე ძველი ავლაბრის სცენის მოყვარენი, რომ ერთი სერიოზული წრე ვერ დაარსეს სცენის მოყვარებისა.

საყვედურის ღირსია უფრო ქართული დრამატიული საზოგადოება: თუ ლაგამს ვერ ამოსდებს ასეთ ვაჟბატონებს, ამ პიესის ნებართვას ნუ აძლევს მაინც ყველა ვიგინდარას. მით უმეტეს, რომ ამ პიესის საავტორო უფლება ქართულ დრამატიულ საზოგადოებას ეკუთვნის.

გრი-გრი.

—

**ს. ვაჩნაძიანი** (შიგნით კახეთი). თექვსმეტს მკათათვეს, ვაჩნაძიანში წარმოდგენა იყო ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოადგინეს რუსულად: „Пріемный день" და ქართულად—„დავიდარაბა" დ. ერისთავისა. მრავალი ხალხი დაესწრო, როგორც სხვა და სხვა სოფლიდან, ისე ადგილობრივი გლეხობაც. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა, რადგანაც მონაწილეობას იღებდნენ ცნობილნი მსახიობნი: ქ-ნ. ელენე ანდრონიკაშვილისა, თ. შალვა დადიანი და დათიკო აწყურელი. ბოლოს ეს საღამო დააგვირგვინა და დაამშვენა ჩვენმა მხცოვანმა მგოსანმა აკაკიმ, რომელმაც სცენიდან თავისებურის გრძნობით წარმოსთქვა ერთი თავისივე ლექსი და მით მისცა შემთხვევა ადგილობრივ მკვიდრთ ენახათ თავის თვალით საყვარელი მგოსანი. დიდი მადლობელნი დარჩნენ როგორც ს. ვაჩნაძიანის სამკითხველოს წევრნი, აგრეთვე დამსწრე საზოგადოებაც.

დამსწრე.

—

10 ივლისს ს. ქვემო-მაჩხაანში სცენის მოყვარეთა მიერ ა. აბმეტელაშვილის რეჟისორობით წარმოდგინეს ა. სუმბათაშვილის „ღალატი".

წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და მაყურებლებზედაც შესაფერი შთაბეჭდილება მოახდინა. იგივე სცენის მოყვარენი ამ მოკლე ხანში მეორე წარმოდგენის გამართვას აპირებენ ს. ქვემო მაჩხაანში.

20 ივლისს საყვარელი მგოსნის ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატივსაცემლად სცენის მოყვარეთა მიერ ს. ბოდბისხევში წარმოდგენილ იქმნა მისივე „ბატონი და ყმა". წარმოდგენა უფასო იყო და დიდძალი საზოგადოებაც მიიზიდა.

X.

## გამოსადეგი ცნობა

### პეტერბურგის ბირჟა

ივლისი.

(ნაჩვენებია განაღდების ფასები).

**სარგებლიან ქაღალდების ფასები:**

| | |
|---|---|
| 4% სახ. რენტა | 94 |
| 5% გირ. ფ. ს.-აზ. სახ. ს.-მამ. ბან. | 99-62 1/2 |
| 4% " " " " " | 95 1/4 |
| 3 1/2% " " " " " | 84 3/4 |
| 5% გირ. ფურც. ტფ. სათ.-აზ. ბანკ. | 86 [illegible] |
| 4 1/2% " " " " " | — |
| 5% " " ქუთ. მიწ. თ.-აზ. ბანკ. | — |
| 5% ტფილისის ტფ. ქალაქ. საკ. ხაზ. | 86 7/8 |
| 4 1/2% " " " " | — |
| 5% I მოგებ. ბილეთ. | 472 1/2 |
| 5% II " " | 58 |
| 5% III " " | 321. |

### ტფილისის ბირჟა

**ხანოვაგისა და ჭირნახულის მაზანდა:**

| | | |
|---|---|---|
| მატყლი თუშური | | 7 მ. 30 კ. 8 მ. |
| ბამბა ქუთათური | | — |
| აბრეშ. პარკი ქუთათ. და ადგილ. | | 15-16 |
| ჭიათ. შავი-ქვა | ჩვეულებრივი | 5 1/2 |
| | გარეცხილი | 7 " |
| ყველი ქართული | | 7 მ. 40 კ. 8 მ. |
| თხილი ზაქათალისა | | — |
| ღვინო კახური | | 3 მ. 50 კ. |
| შაქარი | თავისა | 5 მ. 25 კ. 5 მ. 30 კ. |
| | ფხვიერი | 4 მ. 65 კ. |
| ხორბალი | | — |
| ქერი თეთრი | | — |
| სიმინდი | | 80—85 |


## განცხადებანი

### დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 1/2—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1 1/2 ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგაბაროვი:** 1 1/2—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

**ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 1/2 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. მ. ზეევსკაია-ენგელი:** 6—6 1/2 საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—92)

მუხრანის ქუჩაზე

### სამკურნალო

გ ა ი ხ ს ნ ა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48. Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ატენიანცი ნ. ა.** ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

**ნ. მ. ახმახოვი**—(მედ. ექ.), ყურისა ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულება 6 დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**ქ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოხანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელქონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმებისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—50) 0—103—111)

შემთხვევით **იყიდება**

საუკეთესო სისტემის მანქანებით და მშვენივრად მოწყობილი, ხილეულობისა და მინერალური წყლების (ლიმონადის)

### ქ ა რ ხ ა ნ ა.

იკითხეთ აფანასიევის ქუჩა, სახლი № 3, სახლის პატრონთან, საღამოს 5—6 საათამდე.

(1—732—1)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

### იყიდება შემდეგი წიგნები:

| | |
|---|---|
| თხ. არჩ. ჯორჯაძისა: | წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო" . . . . ფ. 75 კ. |
| " " " | წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა" . . . . . ფ. 80 კ. |
| Bato n-ისა: | „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით" ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. ყიფიანისა: | „სამეგრელოს მთავარი ლევან", 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 40 კ. |
| შიუკაშვილისა: | „მეგობრობა", 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ. |

### ისარგებლეთ შემთხვევით და საამარაკო მიწები

შეიძინეთ 20—40 ოთხ-კუთხ. საჟ. წმ. ანტონის მონასტრის გზაზე (ხვათევი), სოფ. ოლგინსკის გასწვრივ.

ვისაც ადგილობრივ დათვალიერება ჰსურს, იმისთვის გამზადებულია ლინეიკა, წასვლა მოსვლა 80 კაპ. ღირს. დაწვრილებით ცნობათა მიღება შეიძლება ნოტარიუს ხრახოვის კანტორაში, გ-ნ ს. ხ. ბაიბუროვკისა და დ. ფ. პისემსკისთან; ხოლო ავლაბარში ობსერვატორიის ქუჩ. № 23, კ. ა. ხოლზოვთან.

თქვენის თვალით უნდა ჰნახოთ, რომ ადგილის ღირსებაში დარწმუნდეთ.

(2—1411—1)

### „ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია".

1860 წ. დაარსებული.

ვურჩევთ იყიდონ სულ ახლად გამოსული გასასყიდად

პარიზი 1900. **ყვავილის ო-დე-კოლონი.**

„საუცხოვო აკაცია",

„ნუ დამივიწყებ",

„მხიბლავი სუმბული".




თავისებური ძლიერი, საუცხოვო და ხანგრძლივი სურნელება.

✦ უმაღლესი ღირსებისა. ✦

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.

(23—1292—5)

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

### ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 8, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

### ✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

### ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მიიღეთ საუკეთესო პაიხუნი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრეთვე მიიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)

### გაფრთხილება

ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნევრალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ქლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლისგახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაჩანცულობით და სხვა.

გასასყიდად გავრცელდა მრავალი იაფ-ფასიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, ჩვენის სპერმინის მიბაძულებანი, რომელსაც ნაირ-ნაირ სპერმინის სახელით ასაღებენ და სნეულთა შეცდომაში შესაყვანად ამ ყალბ წამლების მკეთებელნი წამალთან ერთად უგზავნიან ექიმებისაგან დადასტურებულ ჩვენის სპერმინ-პელა რეკლამას, და თავის წამლის რეკლამად ასაღებენ. ამისათვის ჩვენს მოვალეობადა ვთვლით ჩვენის სპერმინის მხმარებელნი გავაფრთხილოთ. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ იბეჭდება სპერმინის სიკარგეზე, ჩვენ სპერმინზე ნათქვამი, რომელსაც ეწოდება

„სპერმინ-პელა" ყველა დანარჩენი საშუალებანი მხოლოდ უვარგისი მიბაძვაა ჩვენის ფირმის მიერ დამზადებულ სპერმინ-პელისა და მათი მარგებლობაც არავითარ შემთხვევაში ჩვენს წამლებს ვერ შეედრება. ერთად-ერთი, ნამდვილი სპერმინი ჩვენი სპერმინ-პელაა—თითო შუშა 3 მანათ. ✦ მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ სპერმინის თაობაზე აუარებელი ლიტერატურა. ✦

органотерапевтическій институтъ. профессоръ докторъ ПЕЛЬ и С-вья.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.

### აავადმყოფებს

(Метцль и К-о. № 54437.)

(12—1261—9)